სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
92188221374222

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220068626

რეგისტრაციის თარიღი

25.01.2022 წ

ნოტარიუსი ია ყიფიანი: ია ყიფიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი # 68
ტელეფონი: 570506164

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაორი წლის ოცდახუთ იანვარს, მე, ციური ბერიძეს ნოტარიუს ია ყიფიანის შემცვლელ პირს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 68–ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა საქართველოს მოქალაქე – ბატონი **ლაშა ნიკოლაიშვილი** (დაბ. 30.11.1974 წელს, პირადი № 01008005122, პირადობის მოწმობის სერია 11IB39285 გაცემული 17.02.2012 წელს, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 86 ბ. 10). რომელმაც განაცხადა, რომ იმყოფება ქალაქ თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 86, ბინა № 10-ში, მან აგრეთვე განაცხადა, რომ არის შპს "ჰოლდინგი 1"-ს (ს/კ 405098166) დირექტორი და სურს ნოტარიუსის წინაშე, ონლაინ რეჟიმის წესით დაადასტუროს მინდობილობა სანოტარო წესით. დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართა **ლაშა ნიკოლაიშვილმა**. აგრეთვე (ვიდეო კამერის მეშვეობით) მაჩვენა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, რომელიც შევადარე სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზაში არსებულ დატანილ რეკვიზიტებს, მის პირადობაში და ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ:

ბატონი **ნოდარ ჯაველიძე** (დაბ. 30.01.1989 წელს, პირადი № 01024062365, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, ბახტრიონის ქუჩა, N 24, ბინა 40) და

ბატონი **თორნიკე მილაძე** (დაბ. 09.10.1999 წელს, პირადი № 01027071820, რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, მეფრინველეთა ქუჩა, N 19, ბინა 15).

მე შევამოწმე მათი პირადობა. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე, მათ შორის მოწმეები გაფრთხილებულ იქნენ ჩემს მიერ "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" 26-ე მუხლის თანახმად, მოწმის გამომრიცხავი გარემოებების არსებობის თაობაზე, რაზეც მათ განაცხადეს, რომ არ წარმოადგენენ სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარის და/ან ნოტარიუსის ნათესავს აღმავალი და/ან დაღმავალი ხაზით (მე-3 რიგის ჩათვლით) და ნამდვილად იცნობენ ლაშა ნიკოლაიშვილს.

ლაშა ნიკოლაიშვილის პიროვნების იდენტურობა დადგენილია სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

მისი უფლებამოსილება დადგენილია ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული რეესტრიდან შპს "ჰოლდინგი 1"-ს (ს/კ 405098166) შესახებ მომზადების თარიღი 30/12/2015 17:30:01 წელს, რეგისტრაციის № B15248417

ლაშა ნიკოლაიშვილმა მინდობილობის ტექსტი მიკარნახა ხელისმომწერისა და მოწმის თანდასწრებით. შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მარწმუნებელს, მან დამიდასტურა, რომ მასში ასახული, სრულიად შეესაბამება მის სურვილს, მინდობილობის ტექსტის კარნახისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების ქვეშ.

მინდობილობაზე ხელმოწერას ანდობს ნოდარ ჯაველიძეს, რის შემდეგ მინდობილობაზე მარწმუნებლის ნდობით აღჭურვილმა პირმა – ნოდარ ჯაველიძემ და მოწმე– თორნიკე მილაძემ ხელი მოაწერეს ჩემი თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაორი წლის ოცდახუთ იანვარს, ბატონმა **ლაშა ნიკოლაიშვილმა** (დაბ. 30.11.1974 წელს, პირადი № 01008005122, პირადობის მოწმობის სერია 11IB39285 გაცემული 17.02.2012 წელს, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 86 ბ. 10), შპს "ჰოლდინგი 1"-ს (ს/კ 405098166) დირექტორმა - შემდგომში "მიმნდობი პირი", სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ **მინდია ბურდულს** (დაბ. 10.06.1982 წ, პირადი № 20001010461,

რეგისტრირებული საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, IVბ მიკრო/რაიონი, კორპუსი 42, ბინა 97)- შემდგომში "მინდობილი პირი" განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

1. წარმოადგინოს მიმნდობი პირი, დაიცვას მისი ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ, ადგილობრივ, კომერციულ ორგანოებში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ნოტარიუსთან ურთიერთობაში, ნოტარიუსთა პალატაში, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, პროკურატურაში, არბიტრაჟში, იუსტიციის სახლში (მის ნებისმიერსამსახურში), ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ნებისმიერ არქივში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საჯარო და სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში, სასამართლო ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და ა.შ., მიმართოს ყველა საჭირო ორგანიზაცია-დაწესებულებას, წარადგინოს და გამოითხოვოს დოკუმენტაცია აწარმოოს ადმინისტრაციული ან სამოქალქო საქმე.
2. მინდობილი იცავს მიმნდობის ქონებრივ და/ან არაქონებრივ ინტერესებს და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს შესაბამის საქმეს ყველა ინსტანციის სასამართლოში, კერძო არბიტრაჟში, სააღსრულებო ბიუროში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, აწარმოოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები, მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში და მიიღოს დოკუმენტები, მიაქციოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება აღსასრულებლად. მინდობილს აქვს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც მხარეს (ან მესამე პირს) მინიჭებული აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ, მინდობილი უფლებამოსილია:
   ა) მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული შესაგებელი სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში (ან არბიტრაჟში), გადაიხადოს სასამართლო ბაჟი, ასევე მოითხოვოს და მიიღოს/დაიბრუნოს გადახდილი ბაჟი, მიკუთვნებული თანხა, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს შეპასუხება და მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად სცნოს სარჩელი, გამოიხმოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ყველა აქტი (გადაწყვეტილება, განჩინება), შეიტანოს საჩივარი და აწარმოოს საქმე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში;
   ბ) შეცვალოს სარჩელის (შეგებებული სარჩელის) საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა; ისარგებლოს მხარისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული ყველა სხვა უფლებით. კანონმდებლობით დადგენილი წესით შეასრულოს ყველა მოქმედება სასამართლოს გადაწყვეტილების და/ან გადახდის ბრძანების აღსრულებისათვის. იყოს მიმნდობის წარმომადგენელი სააღსრულებო საქმისწარმოებისას კერძო ან სახელმწიფო აღმასრულებელთან ურთიერთობაში (მათ შორის, გამარტივებული წარმოება ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით), სააღსრულებო ფურცლის მიღებისა და წარდეგნის უფლებით. მინდობილი პირი უფლებამოსილია მიიღოს მიმნდობის კუთვნილი ნებისმიერი თანხა (ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით) მიმნდობ პირზე გადასაცემად.
3. აღნიშნული დავალებების განხორციელების მიზნით მინდობილი უფლებამოსილია გადაიხადოს და/ან დაიბრუნოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს და/ან მიიღოს (მოიპოვოს, გამოითხოვოს, დაამზადოს, შეადგინოს და სხვ.) ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი და ხელიმოაწეროს მათ.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია ათი წლის მოქმედების ვადით, 2032 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ია ყიფიანის ოფისში, დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

წინამდებარე რწმუნებულება მოიწონა მარწმუნებელმა და ჩემი თანდასწრებით მას ხელი მოაწერა მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა- ნოდარ ჯაველიძემ.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 32 -მუხლის საფუძველზე-50.00 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე- 2 ლარი-ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-9 ლარი, საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, სულ-61.00 ლარი.

---------- მარწმუნებლის ნაცვლად, მისივე თხოვნით ნოდარ ჯაველიძე

---------- მოწმე- თორნიკე მილაძე

ნოტარიუს ია ყიფიანის
შემცვლელი პირი ციური ბერიძე